

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

საექპერტო დასკვნა


ორჯაჭვა 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი
ხაზებით წარმოქმნილი ელექტრული და მაგნიტური
ველების დაძაბულობების ზღვრულად დასაშვები
მნიშვნელობების შესახებ.



სამართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის
უაღრღობის

ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემისა
და ბანაზილების პროცესების შესაბამისობის
შეზასების სარტიფიკაციის ორგანო

0175, თბილისი, კოსტავას ქ. №77, VIII კორპუსი, ოთახი 421, ტელ: +995 599 55-87-38



ენერგოაუზითი და დიაბნოსტიკა

№_____

“_____” 2017 წ.

საექპერტო დასკვნა

ორჯაჭვა 110 კვ ძაბვის საპარო ელექტროგადაცემი ხაზებით წარმოქმნილი ელექტრული და
მაგნიტური ველების დაძაბულობების ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობების შესახებ.

საექსპერტო დასკვნა მომზადდა სს “ენერგო-პრო ჯორჯია”-ს განვითარების
მენეჯერის ბატონ ზდენევ ვესელის 2018 წლის 16 მაისის # 2243219 წერილის
საფუძველზე. ბატონი ზდენევი ითხოვს ნორმატიულ – ტექნიკური დოკუმენტების
მოთხოვნების შესაბამისად კვალიფიციური დასკვნის მომზადებას, ორჯაჭვა 110/35 კვ
ძაბვის საპარო ელექტროგადაცემის ხაზებით წარმოქმნილი ელექტრული და
მაგნიტური ველების ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობების შესახებ.

წარმოდგენილი მასალები

1. 110 კვ ძაბვის ეგზ „ერგე-1“-ის რეაბილიტაციის პროექტი;
2. „ცემი -1“, „ცემი-2“, „ცემი-3“-ს რეაბილიტაციის იდენტური პარამეტრების შესახებ
კომპანიის მოთხოვნა.
3. არსებული ერთჯაჭვა 110 კვ ხაზის ტრასის ფოტოები (106 ცალი);
4. საყრდენების სამონტაჟო სქემები (5 სქემა).

1. შესავალი

ცნობილია რომ საპატიო ელექტროგადამცემი ხაზი თავის გარშემო სივრცეში ქმნის ელექტრომაგნიტურ ველს. ელექტრომაგნიტური ველი წარმოადგენს ელექტრული და მაგნიტური ველების ერთობლიობას, რომლებიც ხასიათდებიან შესაბამისი დაძაბულობის ვექტორებით: ელექტრული ველის დაძაბულობის ერთეულია ვოლტი/მეტრი (შემოკლებით-ვ/მ); მაგნიტური ველის დაძაბულობაა (H) მისი ერთეულია ამპერი/მეტრი ($A/მ$). გარდა ამისა მაგნიტურ ველს ახასიათებენ მაგნიტური ინდუქციით (B), რომლის ერთეულია ტესლა (T). პრაქტიკაში გამოიყენებენ მაგნიტური ინდუქციის მცირე ერთეულებს: მილიტესლა ($\text{მტლ} = 10^{-3} T$), მიკროტესლა ($\text{მკტლ} = 10^{-6} T$) და ნანოტესლა ($\text{ნტლ} = 10^{-9} T$).

მაგნიტური ველის დაძაბულობისა ($A/მ$) და მაგნიტური ინდუქციის (მკტლ) ერთეულებს შორის ასეთი დამოკიდებულებაა:

$$1 A/m \approx 1,25 \text{ mctl} = 1250 \text{ nT}$$

კვლევითი ნაწილი

გავეცანით ბატონ ზდენევ ვესელის წერილსა და წარმოდგენილ მასალებს. როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ქ.ბათუმის ელექტრომომარაგების საიმედობის გაზრდის მიზნით დაგეგმილი აქვს 110 კვ ძაბვის ქვ/ს „ბათუმი 1“ -სა და 220 კვ ძაბვის ქვ/ს „დიდი ბათუმი“-ს დამაკავშირებელი 110 კვ ძაბვის ეგხ „ერგე 1“-ს სრული რეაბილიტაცია, რაც თავის მხრივ გულისხმობს არსებული 110 კვ ძაბვის საპატიო ელექტროგადამცემ ხაზზე სადენის კვეთის გაზრდას და მის სრულ გაორჯაჭვიანებას.

სარეაბილიტაციო ეგხ-ის ჯამური სიგრძე შეადგენს 12,007 კმ-ს, საიდანაც 8,792 კმ სიგრძის მონაკვეთი არის ერთჯაჭვიანი, ხოლო დანარჩენი 3,215 კმ-ორჯაჭვიანი. 110 კვ ძაბვის ეგხ „ერგე 1“-ის ტრასაზე განთავსებული საყრდენების სრული რაოდენობა შეადგენს 62 ცალს.


სრული რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებულია არსებული 9 ცალი ფოლადის უნიფიცირებული ორჯაჭვიანი საანკერო-კუთხური საყრდენების გამოყენება

და 53 ცალი ახალი ორჯაჭვიანი უნიფიცირებული და სპეციალური კონსტრუქციის საყრდენის დაყენება ძველი ამორტიზებული საყრდენების განთავსების ადგილებზე.

პროექტით საჰაერო ხაზის სამონტაჟოდ გათვალისწინებულია AC-185/29 ფოლად-ალუმინის სადენი, რომლის მაქსიმალურად დასაშვები დენია 510 ა, ხოლო მაქსიმალური გადასაცემი სიმძლავრე 110 კვ ძაბვის დროს 92,6 მვტ [1].

წინამდებარე სამუშაოს მიზანია კვალიფიციური საექსპერტო დასკვნის მომზადება არსებული ერთჯაჭვა 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ორჯაჭვა 110 კვ ძაბვის ხაზით შეცვლის პირობებში ელექტრული და მაგნიტური ველების დაძაბულობების დონეების ცვლილების შესახებ.

ამ მიზნით „სარკული ასახვის მეთოდით“ [2] ჩატარებული იქნა გაანგარიშებები სხვადასხვა შემთხვევებისათვის, რომელიც გამოიყენება ელექტრომაგნიტური ველების გაანგარიშების დროს.



ნახ.1. P წერტილში A ფაზის ელექტრული ველის დაძაბულობის გავლენის გაანგარიშების შემთხვევა.

ნახ.1-ზე მოყვანილია P წერტილში A ფაზის ელექტრული ველის დაძაბულობის გავლენის გაანგარიშების შემთხვევა. საპარო ელექტროგადაცემის ხაზის A ფაზა და მისი მუხტი მივიღოთ $+t_A$ - თ, ხოლო მისი სარკული ანარეკლის მუხტი $-t_A$ - თ. P წერტილში $+t_A$ მუხტით განპირობებული ელექტრული ველის დაძაბულობის ვექტორის მოდული ტოლია:

$$E_{A(+)} = \frac{\tau_A}{2\pi\varepsilon_0 m_A} \quad (1)$$

სადაც m_A - უმოკლესი მანძილია P წერტილიდან A ფაზამდე, მ.

P წერტილში $-t_A$ მუხტით განპირობებული ელექტრული ველის დაძაბულობის ვექტორის მოდული ტოლია:

$$E_{A(-)} = \frac{\tau_A}{2\pi\varepsilon_0 n_A} \quad (2)$$

სადაც n_A - უმოკლესი მანძილია P წერტილიდან A ფაზის სარკულ ანარეკლამდე, მ.

$E_{A(+)}$ და $E_{A(-)}$ დავშალოთ ჰორიზონტალურ $E_{A(+X)}$, $E_{A(-X)}$ და ვერტიკალურ $E_{A(+Y)}$, $E_{A(-Y)}$ მდგენელებად. ამ ვექტორების მოდულები ნახაზიდან განისაზღვრებიან გამოსახულებებით:

$$E_{A(+X)} = E_{A(+)} \cdot \cos \alpha_1 = E_{A(+)} \frac{X}{m_A} \quad (3)$$

$$E_{A(-X)} = E_{A(-)} \cdot \cos \alpha_2 = E_{A(-)} \frac{X}{n_A} \quad (4)$$

$$E_{A(+Y)} = E_{A(+)} \cdot \sin \alpha_1 = E_{A(+)} \frac{H-h+d}{m_A} \quad (5)$$

$$E_{A(-Y)} = E_{A(-)} \cdot \sin \alpha_2 = E_{A(-)} \frac{H+h+d}{n_A} \quad (6)$$

$E_{A(+X)}$ და $E_{A(-X)}$, ასევე $E_{A(+Y)}$, $E_{A(-Y)}$ ვექტორების შეკრებით მივიღებთ E_{AX} და E_{AY} ვექტორებს, რომლებიც შესაბამისად წარმოადგენენ A ფაზის ელექტრული ველის დაძაბულობის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მდგენელებს P წერტილში.

რადგანაც $E_{A(+X)}$ და $E_{A(-X)}$ ვექტორებს აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო მდგომარეობა, ამიტომ E_{AX} -ის ჯამური მოდული ტოლი იქნება ამ ვექტორების მოდულების სხვაობისა

$$E_{AX} = E_{A(+)} \frac{X}{m_A} - E_{A(-)} \frac{X}{n_A} \quad (7)$$

ხოლო რადგანაც $E_{A(+Y)}$ $E_{A(-Y)}$ ვექტორებს აქვთ ერთნაირი მიმართულება, ამიტომ E_{AY} -ის ჯამური მოდული ტოლი იქნება ამ ვექტორების ჯამისა:

$$E_{AY} = E_{A(+)} \frac{H-h+d}{m_A} + E_{A(-)} \frac{H+h+d}{n_A} \quad (8)$$

(8) გამოსახულებაში ჩავსვათ (1) და (2) დამოკიდებულებანი და მივიღებთ:

$$E_{AX} = \frac{\tau_A}{2\pi\varepsilon_0} \left(\frac{X}{m_A^2} - \frac{X}{n_A^2} \right) = \frac{\tau_A}{2\pi\varepsilon_0} \cdot K_1 \quad (9)$$

$$E_{AY} = \frac{\tau_Y}{2\pi\varepsilon_0} \left(\frac{H-h+d}{m_A^2} + \frac{H+h+d}{n_A^2} \right) = \frac{\tau_A}{2\pi\varepsilon_0} \cdot K_2 \quad (10)$$

ანალოგიური მსჯელობით ხდება B და C ფაზების მიერ შექმნილი ელექტრული ველის დაძაბულობის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მდგენელების განვარიშება.

2.განვიხილოთ საპარო ელექტროგადაცემის ხაზის B ფაზადა მისი მუხტი მივიღოთ $+\tau_B$ - თ, ხოლო მისი სარკული ანარეკლის მუხტი $-\tau_B$ - თ. P წერტილში $+\tau_B$ მუხტით განპირობებული ელექტრული ველის დაძაბულობის ვექტორის მოდული ტოლია:

$$E_{B(+)} = \frac{\tau_B}{2\pi\varepsilon_0 m_B} \quad (11)$$

სადაც m_B - უმოკლესი მანძილია P წერტილიდან B ფაზამდე, მ.

P წერტილში $-\tau_B$ მუხტით განპირობებული ელექტრული ველის დაძაბულობის ვექტორის მოდული ტოლია:

$$E_{B(-)} = \frac{\tau_B}{2\pi\varepsilon_0 n_B} \quad (12)$$

სადაც n_B - უმოკლესი მანძილია P წერტილიდან B ფაზის სარკულ ანარეკლამდე, მ.

რადგან P წერტილი უშუალოდ მოთავსებულია ზუსტად B ფაზის ქვეშ ამიტომ მასზე მოქმედი დაძაბულობის ვექტორს ჰორიზონტალური მდგენელები არ ექნება და ექნება მხოლოდ $E_{B(+y)}$, $E_{B(-y)}$ მდგენელები, რომელთა მოდულები A ფაზის

$$E_{B(+)} = E_{B(+)} \quad (13)$$

$$E_{B(-)} = E_{B(-)} \quad (14)$$


რადგანაც $E_{A(+)} = E_{A(-)}$ ვექტორებს აქვთ ერთნაირი მიმართულება, ამიტომ E_{Ay} -ის ჯამური მოდული ტოლი იქნება ამ ვექტორების ჯამისა:

$$E_{By} = E_{B(+)} + E_{B(-)} \quad (15)$$

(15) გამოსახულებაში ჩავსვათ (11) და (12) დამოკიდებულებანი და მივიღებთ:

$$E_{BX} = 0 = K_3 \quad (16)$$

$$E_{BY} = \frac{\tau_Y}{2\pi\varepsilon_0} \left(\frac{1}{m_B} + \frac{1}{n_B} \right) = \frac{\tau_B}{2\pi\varepsilon_0} \cdot K_4 \quad (17)$$



ნახ.2. P წერტილში B ფაზის ელექტრული ველის დაძაბულობის გავლენის გაანგარიშება.

განვიხილოთ საპაერო ელექტროგადაცემის ხაზის C ფაზა და მისი მუხტი მივიღოთ +τc- თ, ხოლო მისი სარკული ანარეკლის მუხტი -τc- თ. P წერტილში +τc მუხტით განპირობებული ელექტრული ველის დაძაბულობის ვექტორის მოდული ტოლია:

$$E_{C(+)} = \frac{\tau_c}{2\pi\cdot\varepsilon_0\cdot m_C} \quad (18)$$

სადაც m_C – უმოკლესი მანძილია P წერტილიდან C ფაზამდე, მ.

P წერტილში -τc მუხტით განპირობებული ელექტრული ველის დაძაბულობის ვექტორის მოდული ტოლია:

$$E_{C(-)} = \frac{\tau_c}{2\pi\cdot\varepsilon_0\cdot n_C} \quad (19)$$

სადაც n_C – უმოკლესი მანძილია P წერტილიდან C ფაზის სარკულ ანარეკლამდე, მ.

$E_{C(+)}$ და $E_{C(-)}$ დავშალოთ ჰორიზონტალურ $E_{C(+x)}$, $E_{C(-x)}$ და ვერტიკალურ $E_{C(+y)}$, $E_{C(-y)}$ მდგრენელებად. ამ ვექტორების მოდულები ნახაზიდან განისაზღვრებიან გამოსახულებებით:


$$E_{C(+x)} = E_{C(+)} \cdot \cos \alpha_1 = E_{C(+)} \frac{X}{m_C} \quad (20)$$

$$E_{C(-x)} = E_{C(-)} \cdot \cos \alpha_2 = E_{C(-)} \frac{X}{n_C} \quad (21)$$

$$E_{C(+y)} = E_{C(+)} \cdot \sin \alpha_1 = E_{C(+)} \frac{H-h}{m_C} \quad (22)$$

$$E_{C(-y)} = E_{C(-)} \cdot \sin \alpha_2 = E_{C(-)} \frac{H+h}{n_C} \quad (23)$$

$E_{C(+x)}$ და $E_{C(-x)}$, ასევე $E_{C(+y)}$, $E_{C(-y)}$ ვექტორების შეკრებით მივიღებთ E_{Cx} და E_{Cy} ვექტორებს, რომლებიც შესაბამისად წარმოადგენენ C ფაზის ელექტრული ველის დაძაბულობის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მდგრენელებს P წერტილში.



ნახ.3. P წერტილში C ფაზის ელექტრული ველის დაძაბულობის გავლენის გაანგარიშება.

რადგანაც $E_{C(+X)}$ და $E_{C(-X)}$ ვექტორებს აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო მდგომარეობა, ამიტომ E_{CX} -ის ჯამური მოდული ტოლი იქნება ამ ვექტორების მოდულების სხვაობისა

$$E_{CX} = E_{C(+)} \frac{X}{m_C} - E_{C(-)} \frac{X}{n_C} \quad (24)$$

ხოლო რადგანაც $E_{C(+Y)}$ $E_{C(-Y)}$ ვექტორებს აქვთ ერთნაირი მიმართულება, ამიტომ E_{CY} -ის ჯამური მოდული ტოლი იქნება ამ ვექტორების ჯამისა:

$$E_{CY} = E_{C(+)} \frac{H-h}{m_C} + E_{C(-)} \frac{H+h}{n_C} \quad (25)$$

(8) გამოსახულებაშიჩავსვათ (18) და (19) დამოკიდებულებანი და მივიღებთ:

$$E_{CX} = \frac{\tau_C}{2\pi\epsilon_0} \left(\frac{X}{m_C^2} - \frac{X}{n_C^2} \right) = \frac{\tau_C}{2\pi\epsilon_0} \cdot K_5 \quad (26)$$

$$E_{CY} = \frac{\tau_C}{2\pi\epsilon_0} \left(\frac{H-h}{m_C^2} + \frac{H+h}{n_C^2} \right) = \frac{\tau_C}{2\pi\epsilon_0} \cdot K_6 \quad (27)$$

ფაზების ხაზური მუხტები ერთმანეთის ტოლია $\tau_A = \tau_B = \tau_C = \tau$ და ისინი განისაზღვრებიან ტევადობითა და ფაზური ძაბვით:

$$\tau = C \cdot U_{\phi} \quad (28)$$

სადაც C - არის სამფაზა ხაზის ტევადობა დედამიწის მიმართ ხაზის ერთეულოვან სიგრძეზე და განისაზღვრება ფორმულით:

$$C = \frac{2\pi\epsilon_0}{ln \frac{2H\omega\sigma d}{r \sqrt[3]{(4H^2\omega\sigma^2 + d^2) \sqrt{H^2\omega\sigma^2 + d^2}}}} \quad (29)$$

სადაც $H_{\text{სა}}$ -არის დედამიწის ზედაპირიდან სადენების ჩამოვიდების საშუალო სიმაღლე.

საბოლოოდ P წერტილში ელექტრული ველის დაძაბულობა განისაზღვრება ფორმულით:

$$E = \frac{C U_B}{4\pi\epsilon_0} X \sqrt{(2K_2 - K_3 - K_5)^2 + 3(K_3 - K_5)^2 + (2K_2 - K_4 - K_6)^2 + 3(K_4 - K_6)^2} \quad (30)$$

სადაც $K_1, K_2, K_3, K_4, K_5, K_6$ კოეფიციენტებია, რომლებიც დამოვიდებულნი არიან საპარო ელექტროგადაცემის ხაზის სადენების განლაგებასა და საკვლევი წერტილის არჩევაზე. სადენების მოცემული განლაგებისა და P წერტილის მდებარეობისას განისაზღვრებიან ფორმულებით:

$$K_1 = \frac{X}{m_A^2} - \frac{X}{n_A^2}$$

$$K_2 = \frac{H-h-d}{m_A^2} + \frac{H-h+d}{n_A^2}$$

$$K_3 = 0$$

$$K_4 = \frac{1}{m_B} + \frac{1}{n_B}$$

$$K_5 = \frac{X}{m_C^2} - \frac{X}{n_C^2}$$

$$K_6 = \frac{H-h}{m_C^2} + \frac{H-h}{n_C^2}$$

K კოეფიციენტების მნიშვნელობებში შემავალი სიდიდეები წარმოადგენენ შესაბამისი სამკუთხედების ჰიპოტენუზებს და სადენების განლაგების მოცემულ შემთხვევაში განისაზღვრებიან ფორმულებით:

$$m_A = \sqrt{(H-h+d)^2 + X^2}$$

$$m_B = H-h+d$$

$$m_C = \sqrt{(H - h)^2 + X^2}$$

$$n_A = \sqrt{(H + h + d)^2 + X^2}$$

$$n_B = h = H + d$$

$$n_A = \sqrt{(H + h)^2 + X^2}$$

ელექტრული ველის დაძაბულობის პრაქტიკული გაანგარიშება

ამოცანა 1. გავიანგარიშოთ ელექტრული ველის დაძაბულობა 110 კვ ძაბვის საჭარო ელექტროგადაცემი ხაზის ყველაზე დაბალი სიმაღლის ხაზის პროექციიდან $X = 4$ მ მანძილზე და ამასთანავე კიდურა ხაზის ქვეშ $h = 1,8$ მ სიმაღლეზე, თუ ხაზის მინიმალური სიმაღლეა $H = 10$ მ, ხაზის კვეთია 185 მმ², რადიუსი $r = 0,0095$ მ მეზობელ სადენებს შორის დაშორება $d = 4,0$ მ.

გაანგარიშება

პირველ რიგში ნახ. 1-დან განვსაზღვროთ სამკუთხედების ჰიპოტენუზები:

$$m_A = \sqrt{(H - h + d)^2 + X^2} = \sqrt{(10 - 1,8 + 4)^2 + 4^2} = 12,83 \text{ მ}$$

$$m_B = H - h + d = 12,2 \text{ მ}$$

$$m_C = \sqrt{(H - h)^2 + X^2} = \sqrt{(10 - 1,8)^2 + 4^2} = 9,12 \text{ მ}$$

$$n_A = \sqrt{(H + h + d)^2 + X^2} = \sqrt{(10 + 1,8 + 4)^2 + 4^2} = 16,3 \text{ მ}$$

$$n_B = H + h + d = 10 + 1,8 + 4 = 15,8 \text{ მ}$$

$$n_A = \sqrt{(H + h)^2 + X^2} = \sqrt{(10 + 1,8)^2 + 4^2} = 12,46 \text{ მ}$$

მიღებული მონაცემების საფუძველზე გავიანგარიშოთ K კოეფიციენტების მნიშვნელობები:

$$K_1 = \frac{\frac{X}{m_A^2}}{\frac{X}{n_A^2}} = \frac{\frac{4}{12,83^2}}{\frac{4}{16,3^2}} = 0,0243 - 0,0150 = 0,093$$

$$K_2 = \frac{H - h + d}{m_A^2} + \frac{H - h + d}{n_A^2} = \frac{10 - 1,8 + 4}{12,83^2} + \frac{10 + 1,8 + 4}{16,3^2} = 0,0741 + 0,0594 = 0,1335$$

$$K_3 = 0$$

$$K_4 = \frac{1}{m_B} + \frac{1}{n_B} = \frac{1}{12,2} + \frac{1}{15,8} = 0,0819 + 0,004 = 0,0859$$

$$K_5 = \frac{\frac{X}{m_C^2}}{\frac{X}{n_C^2}} = \frac{\frac{4}{9,12^2}}{\frac{4}{12,26^2}} = 0,048 - 0,0266 = 0,0214$$

$$K_6 = \frac{H-h}{m_C^2} + \frac{H+h}{n_C^2} = \frac{10-1,8}{9,12^2} + \frac{10+1,8}{12,26^2} = 0,0985 + 0,0784 = 0,1769$$

გავიანგარიშოთ სამფაზა ხაზის ტევადობა დედამიწის მიმართ ხაზის ერთეულოვან სიგრძეზე (29) ფორმულით:

$$C = \frac{\frac{2\pi\varepsilon_0}{2H\omega\sigma d}}{\ln \frac{r \cdot \sqrt[3]{(4H^2\omega\sigma^2+d^2)\sqrt{H^2\omega\sigma^2+d^2}}}{2.3.14.8.85.10^{-12}}} = \frac{\frac{2.3.14.8.85.10^{-12}}{2.12.4}}{\ln \frac{0.0095 \cdot \sqrt[3]{(4.12^2+4^2)\sqrt{12^2+4^2}}}{6,25}} = \frac{55,57.10^{-12}}{6,25} = 8,89.10^{-12}$$

12

სადაც $\varepsilon_0 = 8,85 \cdot 10^{-12}$ ფ/მ -არის ელექტრული მუდმივა, ხოლო ჩვენს შემთხვევაში $H_{საზ}=12$ მ.

C ტევადობისა და K კოეფიციენტების მნიშვნელობები შევიტანოთ (30) გამოსახულებაში და განვსაზღვროთ ელექტრული ველის დაძაბულობა P წერტილში.

$$\begin{aligned} E &= \frac{CU_S}{4\pi\varepsilon_0} X \sqrt{(2K_1 - K_3 - K_5)^2 + 3(K_3 - K_5)^2 + (2K_2 - K_4 - K_6)^2 + 3(K_4 - K_6)^2} = \\ &= \frac{8,89 \cdot 10^{-12} \cdot 110}{4 \cdot 3,14 \cdot 8,85 \cdot 10^{-12}} \sqrt{(2,0,093 - 0,0214)^2 + 3 \cdot (-0,0214)^2 + (2,0,1335 - 0,0859 - 0,1769)^2 + 3 \cdot (0,0859 - 0,1769)^2} \\ &= 8,8 \cdot 0,24 = 2,11 \text{ კვ/მ} \end{aligned}$$

მოცემულ პარამეტრებიან წრედში ელექტრული ველის დაძაბულობა ყველაზე დაბალ სიმაღლეზე მდებარე ხაზის პროექციიდან 4 მ მანძილზე და 10 მ სიმაღლეზე მდებარე კიდურა ხაზიდან შეადგენს 2,11 კვ/მ.

ამოცანა 2. გავიანგარიშოთ ელექტრული ველის დაძაბულობა 110 კვ მაბვის საპარო ელექტროგადაცემი ხაზის კიდურა ხაზის პროექციიდან $X = 4$ მ მანძილზე და $h = 1,8$ მ სიმაღლეზე, თუ ხაზის სიმაღლეა $H = 10$ მ, ხაზის კვეთია 185 მმ², რადიუსი $r = 0,0095$ მ მეზობელ სადენებს შორის დაშორება $d = 4,0$ მ.

$$m_A = \sqrt{(H - h + d)^2 + (X + d)^2} = \sqrt{(10 - 1,8 + 4)^2 + 8^2} = 14,76 \text{ მ}$$

$$m_B = \sqrt{(H - h + d)^2 + X^2} = \sqrt{(10 - 1,8 + 4)^2 + 4^2} = 12,8 \text{ მ}$$

$$m_C = \sqrt{(H - h)^2 + (X + d)^2} = \sqrt{(10 - 1,8)^2 + 8^2} = 11,45 \text{ მ}$$

$$n_A = \sqrt{(H + h + d)^2 + (X + d)^2} = \sqrt{(10 + 1,8 + 4)^2 + 8^2} = 17,7 \text{ მ}$$

$$n_B = \sqrt{(H + h + d)^2 + X^2} = \sqrt{(10 + 1,8 + 4)^2 + 4^2} = 16,3 \text{ მ}$$

$$n_A = \sqrt{(H + h)^2 + (X + d)^2} = \sqrt{(10 + 1,8)^2 + 8^2} = 14,25 \text{ მ}$$

გავიანგარიშოთ K კოეფიციენტების მნიშვნელობები:

$$K_1 = \frac{X+d}{m_A^2} - \frac{X+d}{n_A^2} = \frac{8}{14,76^2} - \frac{8}{17,7^2} = 0,037 - 0,025 = 0,012$$

$$K_2 = \frac{H-h+d}{m_A^2} + \frac{H+h+d}{n_A^2} = \frac{10-1,8+4}{14,76^2} + \frac{10+1,8+4}{17,7^2} = 0,056 + 0,05 = 0,106$$

$$K_3 = \frac{X}{m_B^2} - \frac{X}{n_B^2} = \frac{4}{12,8^2} - \frac{4}{16,3^2} = 0,0244 - 0,015 = 0,0094$$

$$K_4 = \frac{H-h+d}{m_B^2} + \frac{H+h+d}{n_B^2} = \frac{10-1,8+4}{12,8^2} + \frac{10+1,8+4}{16,3^2} = 0,0744 + 0,0595 = 0,1339$$

$$K_5 = \frac{X+d}{m_C^2} - \frac{X+d}{n_C^2} = \frac{8}{11,45^2} - \frac{8}{14,25^2} = 0,061 - 0,039 = 0,022$$

$$K_6 = \frac{H-h}{m_C^2} + \frac{H+h}{n_C^2} = \frac{10-1,8}{11,45^2} + \frac{10+1,8}{14,25^2} = 0,0625 + 0,058 = 0,1205$$

$$E = \frac{C U_B}{4\pi\epsilon_0} X \sqrt{(2K_1 - K_3 - K_5)^2 + 3(K_3 - K_5)^2 + (2K_2 - K_4 - K_6)^2 + 3(K_4 - K_6)^2} =$$

$$\frac{8,85 \cdot 10^{-12} \cdot 110}{4,3 \cdot 14,885 \cdot 10^{-12}} \sqrt{(2 \cdot 0,012 - 0,0094 - 0,022)^2 + 3(0,0094 - 0,022)^2 + (2 \cdot 0,106 - 0,1339 - 0,1205)^2 + 3(0,1339 - 0,1205)^2} = \\ = 8,8 \cdot 0,054 = 0,47 \text{ კვ/მ}$$

პასუხი: ელექტრული ველის დაძაბულობა კიდურა სადენის პროექციიდან 4 მ-ზე შეადგენს 0,47 კვ/მ.

ამოცანა 3. გავიანგარიშოთ ელექტრული ველის დაძაბულობა 110 კვ მაბვის საპარო ელექტროგადაცემი ხაზის კიდურა ხაზის პროექციიდან $X = 1$ მ მანძილზე და $h = 1,8$ მ სიმაღლეზე, თუ ხაზის სიმაღლეა $H = 10$ მ, ხაზის კვეთია 185 მმ², რადიუსი $r = 0,0095$ მ მეზობელ სადენებს შორის დაშორება $d = 4,0$ მ.

გაანგარიშება

პირველ რიგში გავიანგარიშოთ სამკუთხედების ჰიპოტენუზები:

$$m_A = \sqrt{(H-h+d)^2 + (X+d)^2} = \sqrt{(10-1,8+4)^2 + 5^2} = 13,18 \text{ მ}$$

$$m_B = \sqrt{(H-h+d)^2 + X^2} = \sqrt{(10-1,8+4)^2 + 1^2} = 12,2 \text{ მ}$$

$$m_C = \sqrt{(H-h)^2 + (X+d)^2} = \sqrt{(10-1,8)^2 + 5^2} = 9,6 \text{ მ}$$

$$n_A = \sqrt{(H+h+d)^2 + (X+d)^2} = \sqrt{(10+1,8+4)^2 + 5^2} = 16,6 \text{ მ}$$

$$n_B = \sqrt{(H+h+d)^2 + X^2} = \sqrt{(10+1,8+4)^2 + 1^2} = 15,8 \text{ მ}$$

$$n_C = \sqrt{(H+h)^2 + (X+d)^2} = \sqrt{(10+1,8)^2 + 5^2} = 12,82 \text{ მ}$$

გავიანგარიშოთ K კოეფიციენტების მნიშვნელობები:

$$K_1 = \frac{X+d}{m_A^2} - \frac{X+d}{n_A^2} = \frac{5}{13,18^2} - \frac{5}{16,6^2} = 0,023 - 0,018 = 0,005 \text{ მ}$$

$$K_2 = \frac{H-h+d}{m_A^2} + \frac{H+h+d}{n_A^2} = \frac{10-1,8+4}{13,18^2} + \frac{10+1,8+4}{16,8^2} = 0,07 + 0,057 = 0,127 \text{ გ}$$

$$K_3 = \frac{X}{m_B^2} - \frac{X}{n_B^2} = \frac{1}{12,2^2} - \frac{1}{15,8^2} = 0,0067 - 0,004 = 0,0027 \text{ გ}$$

$$K_4 = \frac{H-h+d}{m_B^2} + \frac{H+h+d}{n_B^2} = \frac{10-1,8+4}{12,2^2} + \frac{10+1,8+4}{15,8^2} = 0,082 + 0,063 = 0,145 \text{ გ}$$

$$K_5 = \frac{X+d}{m_C^2} - \frac{X+d}{n_C^2} = \frac{5}{9,6^2} - \frac{5}{12,82^2} = 0,054 - 0,03 = 0,024 \text{ გ}$$

$$K_6 = \frac{H-h}{m_C^2} + \frac{H+h}{n_C^2} = \frac{10-1,8}{9,6^2} + \frac{10+1,8}{12,82^2} = 0,089 + 0,072 = 0,168 \text{ გ}$$

$$E = \frac{CU_0}{4\pi\varepsilon_0} X \sqrt{(2K_1 - K_3 - K_5)^2 + 3(K_3 - K_5)^2 + (2K_2 - K_4 - K_6)^2 + 3(K_4 - K_6)^2} =$$


$$\frac{8,85 \cdot 10^{-12} \cdot 110}{4,3 \cdot 14,8 \cdot 8,85 \cdot 10^{-12}} \sqrt{(2,0,005 - 0,0027 - 0,024)^2 + 3(0,0027 - 0,024)^2 + (2,0,127 - 0,145 - 0,168)^2 + 3(0,145 - 0,168)} \\ = 8,8 \cdot 0,082 = 0,72 \text{ კვ/გ}$$

პასუხი: ელექტრული ველის დაძაბულობა კიდურა სადენის პროექციიდან 1 გ-ზე შეადგენს 0,72 კვ/გ.

ამოცანა 4. გავიანგარიშოთ ელექტრული ველის დაძაბულობა 110 კვ ძაბვის საპარო ელექტროგადაცემი ხაზის ყველაზე დაბალი სიმაღლის ხაზის ქვეშ $h = 1,8 \text{ მ}$ სიმაღლეზე, თუ ხაზის მინიმალური სიმაღლეა $H = 10 \text{ მ}$, ხაზის კვეთია 185 მმ^2 , რადიუსი $r = 0,0095 \text{ მ}$ მეზობელ სადენებს შორის დაშორება $d = 4,0 \text{ მ}$.

გაანგარიშება

ამ შემთხვევისათვის პირველ რიგში უნდა შევადგინოთ ნახ.4. როგორც ამ ნახაზიდან ჩანს საკვლევი P წერტილი მდებარეობს ზუსტად A და C ფაზების ქვეშ. ამიტომ ამ ფაზების მიერ P წერტილში შექმნილი დაძაბულობის ვექტორს ექნება მხოლოდ ვერტიკალური მდგენელები. მხოლოდ B ფაზის მიერ შექმნილ დაძაბულობას ექნება როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური მდგენელები.



58b.4.

$$E_{AX} = 0 = K_1$$

$$E_{AY} = \frac{\tau_Y}{2\pi\varepsilon_0} \left(\frac{1}{m_A} + \frac{1}{n_A} \right) = \frac{\tau_B}{2\pi\varepsilon_0} \cdot K_2$$

$$E_{BX} = \frac{\tau_A}{2\pi\varepsilon_0} \left(\frac{X}{m_B^2} - \frac{X}{n_B^2} \right) = \frac{\tau_A}{2\pi\varepsilon_0} \cdot K_3$$

$$E_{BY} = \frac{\tau_Y}{2\pi\varepsilon_0} \left(\frac{H-h+d}{m_B^2} + \frac{H+h+d}{n_B^2} \right) = \frac{\tau_A}{2\pi\varepsilon_0} \cdot K_4$$

$$E_{CX} = 0 = K_5$$

$$E_{CY} = \frac{\tau_Y}{2\pi\varepsilon_0} \left(\frac{1}{m_C} + \frac{1}{n_C} \right) = \frac{\tau_B}{2\pi\varepsilon_0} \cdot K_6$$

განვსაზღვროთ უახლოესი მანძილები ფაზებიდან საკვლევ P წერტილამდე;
 $m_A = H-h+d = 12,2 \text{ მ}$

$$m_B = \sqrt{(H-h+d)^2 + X^2} = \sqrt{(10 - 1,8 + 4)^2 + 4^2} = 12,83 \text{ მ}$$

$$m_C = H-h = 8,2 \text{ მ}$$

$$n_A = H + h + d = 10 + 1,8 + 4 = 15,8 \text{ Ø}$$

$$n_B = \sqrt{(H + h + d)^2 + X^2} = \sqrt{(10 + 1,8 + 4)^2 + 4^2} = 16,3 \text{ Ø}$$

$$n_C = H + h = 10 + 1,8 = 11,8 \text{ Ø}$$

გავიანგარიშოთ K კოეფიციენტების მნიშვნელობები:

$$K_1=0$$

$$K_2 = \frac{1}{m_A} + \frac{1}{n_A} = \frac{1}{12,2} + \frac{1}{15,8} = 0,0819 + 0,0633 = 0,1452$$

$$K_3 = \frac{X}{m_B^2} - \frac{X}{n_B^2} = \frac{4}{12,83^2} - \frac{4}{16,3^2} = 0,0243 - 0,0150 = 0,093$$

$$K_4 = \frac{H-h+d}{m_A^2} + \frac{H-h+d}{n_A^2} = \frac{10-1,8+4}{12,83^2} + \frac{10+1,8+4}{16,3^2} = 0,0741 + 0,0594 = 0,1335$$

$$K_5=0$$

$$K_6 = \frac{1}{m_C} + \frac{1}{n_C} = \frac{1}{8,2} + \frac{1}{11,8} = 0,122 + 0,0847 = 0,2067$$

ხაზის ტევადობა ერთეულოვან სიგრძეზე ტოლია:

$$C = 8,89 \cdot 10^{-12} \text{ Ω}$$

$$E = \frac{CU_B}{4\pi\varepsilon_0} X \sqrt{(2K_1 - K_3 - K_5)^2 + 3(K_3 - K_5)^2 + (2K_2 - K_4 - K_6)^2 + 3(K_4 - K_6)^2} = \\ 8,85 \cdot 10^{-12} \cdot 110 \\ 4,3 \cdot 14 \cdot 8,85 \cdot 10^{-12} \sqrt{(2,0 - 0,093 - 0)^2 + 3(0,093)^2 + (2,0,1452 - 0,1335 - 0,2067)^2 + 3(0,1335 - 0,2067)^2} \\ = 8,8 \cdot 0,24 = 2,11 \text{ ვვ/Ø}$$

ამოცანა 5. გავიანგარიშოთ ელექტრული ველის დაძაბულობა 110 კვ ძაბვის საჭარო ელექტროგადაცემი ხაზის კიდურა ხაზის პროექციიდან $X = 1 \text{ Ø}$ მანძილზე და $h = 1,8 \text{ Ø}$ სიმაღლეზე, თუ ხაზის სიმაღლეა $H = 7 \text{ Ø}$, ხაზის კვეთია 120 Øm^2 , რადიუსი $r = 0,0076 \text{ Ø}$ მეზობელ სადენებს შორის დაშორება $d = 4,0 \text{ Ø}$.

გაანგარიშება

$$m_A = \sqrt{(H - h + d)^2 + (X + d)^2} = \sqrt{(7 - 1,8 + 4)^2 + 5^2} = 10,47 \text{ Ø}$$

$$m_B = \sqrt{(H - h + d)^2 + X^2} = \sqrt{(7 - 1,8 + 4)^2 + 1^2} = 9,2 \text{ Ø}$$

$$m_C = \sqrt{(H - h)^2 + (X + d)^2} = \sqrt{(7 - 1,8)^2 + 5^2} = 7,21 \text{ Ø}$$

$$n_A = \sqrt{(H + h + d)^2 + (X + d)^2} = \sqrt{(7 + 1,8 + 4)^2 + 5^2} = 13,74 \text{ Ø}$$

$$n_B = \sqrt{(H + h + d)^2 + X^2} = \sqrt{(7 + 1,8 + 4)^2 + 1^2} = 12,8 \text{ მ}$$

$$n_A = \sqrt{(H + h)^2 + (X + d)^2} = \sqrt{(7 + 1,8)^2 + 5^2} = 10,12 \text{ მ}$$

გავიანგარიშოთ K კოეფიციენტების მნიშვნელობები:

$$K_1 = \frac{\frac{X+d}{m_A^2}}{\frac{X+d}{n_A^2}} = \frac{\frac{5}{9,2^2}}{\frac{5}{10,47^2}} = \frac{5}{10,47^2} - \frac{5}{13,74^2} = 0,023 - 0,018 = 0,005 \text{ მ}$$

$$K_2 = \frac{\frac{H-h+d}{m_A^2}}{\frac{H+h+d}{n_A^2}} = \frac{\frac{7-1,8+4}{10,47^2}}{\frac{7+1,8+4}{13,74^2}} = 0,084 + 0,068 = 0,152 \text{ მ}$$

$$K_3 = \frac{\frac{X}{m_B^2}}{\frac{X}{n_B^2}} = \frac{\frac{1}{9,2^2}}{\frac{1}{12,8^2}} = 0,012 - 0,0061 = 0,0059 \text{ მ}$$

$$K_4 = \frac{\frac{H-h+d}{m_B^2}}{\frac{H+h+d}{n_B^2}} = \frac{\frac{7-1,8+4}{9,2^2}}{\frac{7+1,8+4}{12,8^2}} = 0,111 + 0,078 = 0,189 \text{ მ}$$

$$K_5 = \frac{\frac{X+d}{m_C^2}}{\frac{X+d}{n_C^2}} = \frac{\frac{5}{7,21^2}}{\frac{5}{10,12^2}} = 0,096 - 0,049 = 0,047 \text{ მ}$$

$$K_6 = \frac{\frac{H-h}{m_C^2}}{\frac{H+h}{n_C^2}} = \frac{\frac{7-1,8}{7,21^2}}{\frac{7+1,8}{10,12^2}} = 0,1 + 0,086 = 0,186 \text{ მ}$$

$$C = \frac{\frac{2\pi\varepsilon_0}{2H\omega\sigma d}}{\ln \frac{2\pi\varepsilon_0}{2H\omega\sigma d}} = \frac{\frac{2.3.14.8.85.10^{-12}}{2.9.4}}{\ln \frac{0.0076}{\sqrt[3]{(4H^2\omega\sigma^2+d^2)\sqrt{H^2\omega\sigma^2+d^2}}}} = \frac{\frac{55,57.10^{-12}}{7,15}}{7,15} = 7,8 \cdot 10^{-12} \text{ გ}$$

$$C = 7,8 \cdot 10^{-12} \text{ გ}$$

$$E = \frac{CU_S}{4\pi\varepsilon_0} X \sqrt{(2K_1 - K_3 - K_5)^2 + 3(K_3 - K_5)^2 + (2K_2 - K_4 - K_6)^2 + 3(K_4 - K_6)^2} =$$

$$\frac{7,8 \cdot 10^{-12} \cdot 110}{4,3.14.8.85.10^{-12}} \sqrt{(2,0,005 - 0,0059 - 0,047)^2 + 3(0,0059 - 0,047)^2 + (2,0,152 - 0,189 - 0,186)^2 + 3(0,186 - 0,189)^2} =$$

$$= 7,72 \cdot 0,11 = 0,85 \text{ კვ/მ}$$

ამოცანა 6. გავიანგარიშოთ ელექტრული ველის დაძაბულობა 110 კვ ძაბვის საჭარო ელექტროგადაცემი ხაზის ყველაზე დაბალი სიმაღლის ხაზის ქვეშ $h = 1,8 \text{ მ}$ და სიმაღლეზე, თუ ხაზის მინიმალური სიმაღლეა $H = 7 \text{ მ}$, ხაზის კვეთია 120 მმ^2 , რადიუსი $r = 0,0076 \text{ მ}$ მეზობელ სადენებს შორის დაშორება $d = 4,0 \text{ მ}$.

განგარიშება

$$m_A = H - h + d = 9,2 \text{ მ}$$

$$m_B = \sqrt{(H - h + d)^2 + X^2} = \sqrt{(7 - 1,8 + 4)^2 + 4^2} = 10,0 \text{ მ}$$

$$m_C = H - h = 5,2 \text{ θ}$$

$$n_A = H + h + d = 7 + 1,8 + 4 = 12,8 \text{ θ}$$

$$n_B = \sqrt{(H + h + d)^2 + X^2} = \sqrt{(7 + 1,8 + 4)^2 + 4^2} = 13,4 \text{ θ}$$

$$n_C = H + h = 7 + 1,8 = 8,8 \text{ θ}$$

გავიანგარიშოთ K კოეფიციენტების მნიშვნელობები:

$$K_2 = \frac{1}{m_A} + \frac{1}{n_A} = \frac{1}{9,2} + \frac{1}{12,8} = 0,109 + 0,078 = 0,187$$

$$K_3 = \frac{X}{m_B^2} - \frac{X}{n_B^2} = \frac{4}{10,0^2} - \frac{4}{13,4^2} = 0,0384 - 0,0222 = 0,0162$$

$$K_4 = \frac{H-h+d}{m_B^2} + \frac{H-h+d}{n_B^2} = \frac{7-1,8+4}{10,0^2} + \frac{7+1,8+4}{13,4^2} = 0,092 + 0,088 = 0,18$$

$$K_5 = 0$$

$$K_6 = \frac{1}{m_C} + \frac{1}{n_C} = \frac{1}{5,2} + \frac{1}{8,8} = 0,192 + 0,114 = 0,306$$

ხაზის ტევადობა ერთულოვან სიგრძეზე ტოლია:

$$C = 7,8 \cdot 10^{-12} \Omega$$

$$\begin{aligned} E &= \frac{CU_B}{4\pi\varepsilon_0} X \sqrt{(2K_1 - K_3 - K_5)^2 + 3(K_3 - K_5)^2 + (2K_2 - K_4 - K_6)^2 + 3(K_4 - K_6)^2} = \\ &= \frac{7,8 \cdot 10^{-12} \cdot 110}{4 \cdot 3,14 \cdot 8,85 \cdot 10^{-12}} \sqrt{(2,0 - 0,187 - 0)^2 + 3(0,0162)^2 + (2,0,187 - 0,18 - 0,0306)^2 + 3(0,18 - 0,306)^2} \\ &= 7,72 \cdot 0,33 = 2,57 \Omega \end{aligned}$$

მაგნიტური ველის დაძაბულობის გაანგარიშება
მაგნიტური ველის დაძაბულობა დამოკიდებულია ხაზში გამავალი დენის სიდიდეზე.
დენის სიდიდე თავის მხრივ დამოკიდებულია გადასაცემ სიმძლავრეზე. დედამიწის
ზედაპირზე მოქმედი მაგნიტური ველის დაძაბულობასა და დენს შორის კავშირი
გამოისახება ფორმულით:

$$H = I / 2\pi R \quad (31)$$

სადაც I – არის ხაზში გამავალი დენის სიდიდე, A; R – ხაზის დაშორება მიწის
ზედაპირამდე, m.

არსებული 110 კვ ძაბვის ხაზს, რომლის დედამიწამდე დაშორების მინიმალური მნიშვნელობა არის 7 მ, ხოლო მაქსიმალური გადასაცემი სიმძლავრე შეადგენს 28 მვტ-ს, შეესაბამება ხაზში გამავალი დენი:

$$I_1 = P/1,73 \cdot U_{\text{ნო}} = 28000/1,73 \cdot 110 = 147,14 \text{ ა.} \quad (32)$$

ამ დენით გამოწვეული მაგნიტური ველის დაძაბულობა ხაზის ქვეშ 1,8 მ სიმაღლეზე შეადგენს:

$$H_1 = 147,14/2 \cdot 3,14 \cdot (7-1,8) = 4,5 \text{ ა/მ} = 2,23 \cdot 1,25 = 5,63 \text{ მვტლ.} \quad (33)$$

როგორც პროექტით არის განსაზღვრული 110 კვ ხაზის სრული რეაბილიტაციით Y110-1 ტიპის ერთჯაჭვა საყრდენები იცვლება 2AUG -60 ტპ (21 მ), AUG -60 ტპ (21 მ), П110-6 (19 მ), УС 110-6 (15,5 მ), ტიპის ორჯაჭვა საყრდენებით. ამ დროს ხაზის მინიმალური დაშორება დედამიწამდე შეადგენს 10 მ-ს.

ორჯაჭვა ხაზის თითოეული ჯაჭვის მიერ გადასაცემი მაქსიმალური სიმძლავრე შეადგენს 40 მვტ-ს, რომელსაც შეესაბამება ხაზში გამავალი დენი

$$I_2 = P/1,73 \cdot U_{\text{ნო}} = 40000 / 1,73 \cdot 110 = 210,2 \text{ ა.} \quad (34)$$

ამ დენით გამოწვეული მაგნიტური ველის დაძაბულობა ხაზის ქვეშ 1,8 მ სიმაღლეზე შეადგენს:

$$H_2 = 210,2/2 \cdot 3,14 \cdot (10-1,8) = 4,08 \text{ ა/მ} = 4,08 \cdot 1,25 = 5,1 \text{ მვტლ.} \quad (35)$$

ერთი ჯაჭვის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მთელ დატვირთვას იღებს მეორე ჯაჭვი, ამ შემთხვევაში გადასაცემი მაქსიმალური სიმძლავრე შეადგენს 80 მვტ-ს, რომელსაც შეესაბამება ხაზში გამავალი დენი

$$I_3 = P/1,73 \cdot U_{\text{ნო}} = 80000 / 1,73 \cdot 110 = 420,4 \text{ ა.} \quad (36)$$

ამ დენით გამოწვეული მაგნიტური ველის დაძაბულობა ხაზის ქვეშ 1,8 მ სიმაღლეზე შეადგენს:

$$H_3 = 420,4 / 2 \cdot 3,14 \cdot 8,2 = 4,32 \text{ ა/მ} = 8,16 \cdot 1,25 = 10,2 \text{ მვტლ.} \quad (37)$$

აღსანიშნავია, რომ ხაზიდან დაშორების მიხედვით როგორც ელექტრული ასევე მაგნიტური ველების დაძაბულობები მცირდება.

მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარების მიერ შექმნილი ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედებისაგან დაცვის ძირითად ღონისძიებას წარმოადგენს სანიტარული

მოთხოვნების დაცვა, რომლებიც ეხება ადამიანის ყოფნის ხანგრძლივობას სამრეწველო სიხშირის ელექტრული და მაგნიტური ველის ზემოქმედების ქვეშ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 409 დადგენილებით [3]დღეისათვის გამოიყენება ყოფილი საბჭოთა კავშირის სანიტარული და სხვა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს ტერიტორიაზე ელექტრული და მაგნიტური ველების დაძაბულობების ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს, ამიტომ საექსპერტო დასკვნის მომზადებისათვის ვსარგებლობთ სწორედ ამ დოკუმენტაციით.

აქედან გამომდინარე ვიყენებთ [4] ჰიგიენური ნორმების მონაცემებს, რომელიც შეიცავს მირითად მოთხოვნებს საპარო ელექტროგადაცემის ხაზების მიერ შექმნილი მაგნიტური ველის ზემოქმედებისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ ჰიგიენური ნორმების მიხედვით მოსახლეობისათვის მაგნიტური ველის დაძაბულობის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობები მოცემულია ცხრილი 1-ში:

ცხრილი 1.

#	ზემოქმედების ტიპი, ტერიტორია	მაგნიტური ველის ინტენ-სივობა, (მოქმედი მნიშვნე-ლობა) მკტლ (ა/მ)
1	საცხოვრებელ სახლებში, საბავშვო, სკოლამდელ, ზოგადსაგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებში	5 (4)
2	საცხოვრებელი სახლების არასაცხოვრებელ სათავ-სოებში, საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ შენობებში, დასახლებულ ტერიტორიებზე, მათ შორის საბალე ნაკვეთებზე	10 (8)
3	საცხოვრებელი განაშენიანების ზონის გარეთ, მათ რიცხვში 1 კვ-ზე მეტი ძაბვის საპარო და საკაბელო ელექტროგადაცემის ხაზების ზონაში; საპარო და საკაბელო ელექტროგადაცემის ხაზების გავლის ზონაში იმ პირთა ყოფნის დროს, რომლებიც პროფესიულად დაკავებულნი არ არიან ელექტრო-დანადგარების ექსპლუატაციით	20 (16)
4	დაუსახლებელ და მნელად მისაღწევ ადგილებში ადამიანის ეპიზოდურად ყოფნის ხანგრძლივობით	100 (80)

**ცხრ.1 50 პც სიხშირის მაგნიტური ველის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობების
ჰიგიენური ნორმები**

ხოლო ელექტრული ველის დაძაბულობისაგან დაცვის მიზნით ვიყენებთ [5] სანიტარულ -ჰიგიენური ნორმატივების მონაცემებს, რომელიც შეიცავს ძირითად მოთხოვნებს საჰაერო ელექტროგადაცემის ხაზების მიერ შექმნილი ელექტრული ველის ზემოქმედებისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ სანიტარული ნორმატივის მიხედვით მოსახლეობისათვის ელექტრული ველის დაძაბულობის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობები მოცემულია ცხრილი 2-ში:

#	ზემოქმედების ტიპი, ტერიტორია	ცხრილი 2. ელექტრული ველის დაძაბულობის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობები, კვ/მ
1	საცხოვრებელი შენობის შიგნით	0,5
2	საცხოვრებელი განაშენიანების ზონის ტერიტორიაზე	1
3	დასახლებულ ადგილებზე, საცხოვრებელი განაშენიანების ზონის გარეთ (ქალაქის საზღვრებში ქალაქის მიწები მათი 10 წლის პერსპექტიული განვითარებით, გარეუბნები და მწვანე ზონები; კურორტები, ქალაქის ტიპის დაბებისა და სოფლის დასახლებული მიწები, ასევე ბოსტნებისა და ბალების ტერიტორიები	5
4	დასახლებული ადგილები (აუშენებელი ადგილები, მაგრამ იქ ხალხი ხშირად იმყოფება, ტრანსპორტის მისაღწევი ადგილები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	15
5	მნელად მისაღწევი ადგილები (ტრანსპორტისა და სასოფლო სამეურნეო მანქანებისათვის მიუღწეველი	20

**ცხრ.4 მოსახლეობისათვის ელექტრული ველის დაძაბულობის ზღვრულად დასაშვები
მნიშვნელობები.**

ჩვენს მიერ მიღებული როგორც ელექტრული, ისე მაგნიტური ველის
დაძაბულობების მნიშვნელობების ცხრილი 1 და ცხრილი 2-ში მოყვანილ ზღვრულად
დასაშვებ მნიშვნელობებთან შედარებიდან ჩანს, რომ 110 კვ ერთჯაჭვა ხაზის
ორჯაჭვათი შეცვლის გამო ელექტრული და მაგნიტური ველების დაძაბულობების
დონეები გაუარესების მაგიერ გაუმჯობესდა, ვინაიდან მოხდა ხაზის მიწიდან

დაშორების მინიმალური მანძილის გაზრდა. კერძოდ, მიწიდან დაშორების მინიმალური მანძილი 7 მეტრიდან გაიზარდა 10 მეტრამდე.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის # 340 დადგენილებითა [6] (მუხლი 2, პუნქტი 28.დ) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის # 366 დადგენილებით [7] საპაერო ელექტროგადამცემი ხაზისათვის შემოღებულია დაცვის ზონა: საპაერო ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი და საპაერო სივრცე, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც დაშორებულნი არიან ხაზის ორივე მხარეს განაპირა სადენებიდან (მათ გადაუხრელ მდგომარეობაში ყოფნისას) და 110 კვ ძაბვის ხაზისათვის დაცვის ზონა ორივე მხარეს შეადგენს 20–20 მ-ს.

აღსანიშნავია, რომ СанПин 2971-84-ის თანახმად მოსახლეობის დაცვა 220 კვ და ქვევით ძაბვის საპაერო ელექტროგადამცემი ხაზის ელექტრული ველის დაძაბულობისაგან დაცვა არ მოითხოვება, თუ ისინი აკმაყოფილებენ ელექტროდანადგარების მოწყობის წესების[8] მოთხოვნებს.

ჩვენს მიერ გაანგარიშება ჩატარებული იქნა ორჯაჭვა საპაერო ელექტროგადამცემი სახის ერთი ჯაჭვზე. დაძაბულობები განსაზღვრული იქნა ერთი ჯაჭვის მხარეს. მაგრამ ხაზის ჯაჭვები კონსტრუქციულად განლაგებულია საყრდენის სიმეტრიულად. ამიტომ დაძაბულობები მეორე ჯაჭვის მხარესაც იგივეა.

დასკვნა

ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად დადგენილია, რომ:

1. 110 კვ ძაბვის ქვ/ს „ბათუმი 1“ –სა და 220 კვ ძაბვის ქვ/ს „დიდი ბათუმი“ –ს დამაკავშირებელი 110 კვ ძაბვის ეგზ „ერგე 1“ –ს სრული რეაბილიტაციის პირობებში, რაც თავის მხრივ გულისხმობს არსებული 110 კვ ძაბვის საპაერო ელექტროგადამცემ ხაზზე სადენის კვეთის გაზრდას და მის სრულ გაორჯაჭვიანებას, ხაზის მიწამდე მინიმალური დაშორების 7 მ მაგიერ 10 მ – მდე გაზრდის შედეგად საგრძნობლად უმჯობესდება ელექტრული და მაგნიტური ველის დაძაბულობების დონეები, კერძოდ:

- ხაზის მიერ გამოწვეული ელექტრული ველის დაძაბულობა კიდურა ხაზის პროექციიდან 1 მ მანძილზე არსებული ხაზისათვის შეადგენს 0,85 კვ/მ, ხოლო

რეაბილიტირებული ხაზისათვის $-0,72$ კვ/მ; (ნორმა 1 კვ/მ). ანუ რეაბილიტირებული ხაზის შემთხვევაში ელექტრული ველის დაძაბულობა ნორმაზე $0,28$ კვ/მ-ით უკეთესი იქნება;

– მაგნიტური ველის დაძაბულობა ხაზის ქვეშ $1,8$ მ სიმაღლეზე შეადგენს: არსებული ხაზის პირობებში $-5,63$ მკტლ, ხოლო რეაბილიტირებული ხაზის პირობებში $-5,1$ მკტლ-ს. ანუ რეაბილიტირებული ხაზის შემთხვევაში მაგნიტური ველის დაძაბულობა ნორმაზე $0,52$ მკტლ-ით უკეთესი იქნება;

2. როგორც მასალებით ირკვევა, კომპანია გამოიყენებს აბსოლუტურად იდენტურ ანძებს „ცემი 1-2-3“ პროექტის რეალიზებისას. შესაბამისად წარმოდგენილი დასკვნა სრულიად ვრცელდება „ცემი -1“ „ცემი -2“ და „ცემი -3“ პროექტებზე და ყველა სხვა ანალოგიურ პროექტზე, რომლებიც შესრულებული იქნება იგივე სტანდარტებით.

3. საცხოვრებელ სახლებში, საბავშვო, სკოლამდელ, ზოგადსაგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებში გვ. 2.1.8/2.2.4.2262-07 ჰარმონიზირებული ნორმებით დასაშვებია 5 მკტლ. საპარკო ხაზის გატარება ასეთი დაწესებულებების თავზე ეს ნორმების მიხედვით დაუშვებელია.

4. ეს 3.2.5.115-ის მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში რეაბილიტირებული ხაზის მიერ გამოწვეული ელექტრული და მაგნიტური ველების დაძაბულობების დონეები სავსებით აკმაყოფილებს სან.Пин 2971-84-სა და გვ. 2.1.8/2.2.4.2262-07 სანიტარული და ჰარმონიზირებული ნორმებით დადგენილ ნორმებს.

5. სან.Пин 2971-84-ის თანახმად მოსახლეობის დაცვა 220 კვ და ქვევით მაბვის საპარკო ელექტროგადამცემი ხაზის ელექტრული ველის დაძაბულობისაგან დაცვა არ მოითხოვება, თუ ისინი აკმაყოფილებენ ელექტროდანადგარების მოწყობის წესების მოთხოვნებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://forca.ru/info/spravka/dopustimye-dlitelnye-toki-i-moschnosti-dlya-neizolirovannyh-provodov-marok-as-ask.html>.

2. Расчет напряженности электрического поля трехфазной линий по методу зеркальных отображений. <http://mydocx.ru/4-90013.html>

3. Саქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის # 409 დადგენილება „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

4. ГН 2.1.8/2.2.4.2262-07 Предельно допустимые уровни магнитных полей частотой 50 Гц в помещениях жилых, общественных зданий и на селитебных территориях;

5. СанПин 2971-84. Санитарные нормы и правила защиты населения от воздействия электрического поля, создаваемого воздушными линиями электропередач переменного тока промышленной частоты.

6. Саქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის # 340 დადგენილება „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“;

7. Саქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის # 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“

8. ელექტროდანადგარების მოწყობის წესები (Пуэ 6).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემისა და განაწილების პროცესების შესაბამისობის შემფასებელი მომსახურეობის სერტიფიცირებულის ორგანო „ენერგოაუდიტი და დიაგნოსტიკა“ –ს ხელმძღვანელი, პროფესორი, გ.არაბიძე

ხარისხის მენეჯერი და ექსპერტ – ელექტრიკოსი, პროფესორი თ.მუსელიანი

